დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2022 წლის 14 მარტის N 02-01-68
ბრძანებით

სსიპ კოლეჯი „აისი“

პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

2022 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სსიპ კოლეჯი „აისის“ (შემდგომში-კოლეჯი) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (შემდგომში - „მეთოდოლოგია“) ეფუძნება, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობას, ავტორიზაციის სტანდარტებს და კოლეჯის შიდა სამართლებლივ აქტებს;

მუხლი 2 . პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამებზე/მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებზე განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა;
- ✓ A გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა თეორიულ სამეცადინო ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:
- ✓ ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ✓ კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
- ✓ Bგარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამაზე და გაანგარიშდება სტუდენტთა/მსმენელთა საერთო რაოდენობაზე:
- ✓ კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება ინდივიდუალურ კომპიუტერთან;
- ✓ C გარემო/პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას.
- ✓ პრაქტიკული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:
- ✓ ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ✓ ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სასწავლო გარემოს ფართი;
- ✓ კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
- ✓ დისტანციური სწავლების სპეციფიკა.
- ✓ პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობები;

2.2 მოდულის განხორციელებისათვის/შედეგის მისაღწევად შესაძლოა საჭირო იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა სათნადო დოკუმენტში ;

2.3 იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე გარემო(აუდიტორია) გამოიყენება ორი ან მეტი

პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად;

2.4 თუ ერთი და იგივე რესურსი გამოიყენება სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის, კონტინგენტის დასაბუთებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი შესაძლებლობები/გამტარუნარიანობა თითოეულ პროგრამასთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში თუ ერთი და იგივე პროგრამა იზიარებს საერთო პრაქტიკის ბაზას, უნდა ჩანდეს ამ ბაზის გამოყენების მექანიზმი ორივე პროგრამის მიზნებისათვის;

2.5 პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა(მოდულებით/შედეგის შესაბამისი გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, ავტორიზაციის ვადით მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული (დადასტურებული შესაბამისი მემორანდუმებით/ ხელშეკრულებებით), სათანადო აღჭურვილობის სასწავლო ფართი, ასევე კომპიუტერული (ციფრული) ტექნიკა, სპორტული, შემოქმედებითი, თუ სხვა არასააუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობა, რაც სამუშაო საათებში, ცვლებში უნდა იძლეოდეს, სწავლების წინასწარ განსაზღვრული შედეგის უზრუნველყოფას)

2.6 კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მომზადება-გადამზადების პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენთა/მსმენელთა იმ მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით(პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ლოგიკური რაოდენობრივი შეფარდებით), რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს/პარტნიორ საწარმო(ებ)ს შეუძლია მიიღოს;

2.7 პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრისას ასევე გაითვალისწინება:

- პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით სტუდენტთა გადანაწილების შესაძლებლობა;
- ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;
- ბიბლიოთეკის რესურსი;
- საგანმანათლებლო პროგრამის/მომზადება -გადამზადების პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები);
- საგანმანათლებლო პროგრამის/მომზადება -გადამზადების პროგრამის განვითარებისა და ზრდის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის, პროგრამისთვის საჭირო საბიბლიოთეკო სივრცისა და ფონდის გამდიდრების, დამატებითი კომპიუტერული კლასების შექმნისა ან/და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფის, ასევე, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი დამატებითი აუდიტორიების/გარემოს გამოყოფის, პრაქტიკის ბაზებთან თანამშრომლობის გაფართოვების შესაძლებლობები.

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება

3.1. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება ზემოაღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან;
3.2. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ზღვრულ ოდენობას გარკვეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/მომზადება-გადამზადების პროგრამებზე შესაძლოა განსაზღვრავდეს პროგრამით დადგენილი მოთხოვნები პროფესიული სტუდენტის/მსმენელისა და პროგრამის განმახორციელებელ პირთა თანაფარდობის შესახებ და სხვა.
3.3. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა გათვალისწინებულ იქნას ცვლებში სწავლის შესაძლებლობა; ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული პროფესიული პროგრამის მოდულების/შედეგების განხორციელების დისტანციური სწავლების სპეციფიკა და შესაძლებლობები.
3.4. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა დაანგარიშდეს A, Bდა C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
A სასწავლო გარემო - ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 50%-ით, რაც საშუალებას იძლევა ერთ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით - ოთხმაგი რაოდენობა;
B სასწავლო გარემოში სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3-5 კრედიტს(იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკა ითხოვს B გარემოს ინტენსიურ დატვირთვას), შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში შეიძლება დაიტვირთოს საშუალოდ 5-6%-ით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების 20-მაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით 40-მაგი რაოდენობა;
3.5. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე მუხლის ,,ა“ და ,,ბ“ პუნქტებით განსაზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესს.
3.6. პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებელ პირთა დატვირთვა ;
3.7. დუალურ სწავლებაში საწარმოდან გამოყოფილ ერთ ინსტრუქტორზე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ასევე პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით;
3.8. კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე;
3.9 თუ მოდულის/სწავლის შედეგების განხორციელება უნდა მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე, მაშინ ობიექტზე უნდა შეფასდეს ამ მოდულის სარეკომენდაციო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ჩამონათვალის შესაბამისი აღჭურვილობა ან მისი ალტერნატივა და ეს უნდა გაიწეროს ხელშეკრულების დანართში ჩამონათვალით.
3.10 ვინაიდან საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული თანაფარდობები პირობითია (სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს) და არ არსებობს რაიმე სახის წინასწარ დადგენილი თანაფარდობა, თუ რამდენ სტუდენტზე რამდენი მატერიალური რესურსი უნდა მოდიოდეს, გარდა ცალკეული გამონალისებისა, უმნიშვნელოვანესია, ზღვრული რაოდენობის დაანგარიშებისას.
3.11 გადაწყვეტილება პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის/გაზრდის/შემცირების შესახებ ეცნობება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1. ცვლილებს ან/და დამატებას, ან ახალ წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4.2. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში და ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც არგუმენტირებულად დაასაბუთებს ცვლილების საჭიროებას;